სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N72

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორე მხრივ, ი.მ. ალექსანდრე შერვაშიძე (შემდგომში „შემსრულებელი“) („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი - 55300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელმა დეპარტამენტის საერთაშორისო სტუმრებისათვის, მოთხოვნის და საჭიროების შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა უზრუნველყოს კვებითი მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2500** ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. შემსყიდველი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**ი.მ. ალექსანდრე შერვაშიძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ქედა, სოფ. პირველი მაისი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი: 61008006064
	სს "საქართველოს ბანკი“ *ბანკის კოდი –* BAGAGE22 ანგარიში N GE81BG0000000314209900
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**ინდ. მეწარმე**
თინათინ ზოიძე	ალექსანდრე შერვაშიძე

Tinatin Zoidze 61009006289 Digitally signed by Tinatin Zoidze Date: 2022.05.06 12:00:34

Alexsandre Shervashidze 61008006064 Digitally signed by Alexsandre Shervashidze Date: 2022.05.06 17:30:35